



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბულბული

ბულბული, იადონი (*Luscinia*), ფრინველთა გვარი ბელურასნაირთა რიგისა.

საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: ჩვეულებრივი ბ. (*L. luscinia*), გვხვდება მხოლოდ მიმოფრენისას (აპრილ-მაისსა და აგვ-ში); სამხრეთული ბ. (*L. megarynchos*) მობუდარი გადამფრენია. გვხვდება აპრ-იდან სექტ-მდე. მოკრძალებული შეფერილობისაა: ზემოდან მოყავისფრო-მურაა, ქვემოდან მონაცრისფრო-თეთრი. ბინადრობს ბუჩქნარში – წყაროების, მდ-ების პირას, ტყისპირებში, მთების ფერდობებსა და ბალებში; უყვარს წყალთან სიახლოვე. ბუდეს იკეთებს მიწაზე. მაისში დედალი დებს 4-5 კვერცხს, რ-თა ინკუბაცია გრძელდება 2 კვირამდე. იკვებება მწერებით, იშვიათად კენკროვნებით. კარგად გალობს.

რ. ჟორდანი
